

საპენსიო სისტემების მსოფლიო მოდელები და საქართველოს საპენსიო
რეფორმის წინაშე არსებული გამოწვევები

ანი კელენჯერიძე
თამარ გვასალია
ტარიელ ჩიბურდანიძე

ჯგუფი #27

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.*

პროექტის ხელმძღვანელი: დავით გამყრელიძე, ასისტენტ-პროფესორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი (2019)

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ გვასალია _____

ანი კელენჯერიძე _____

ტარიელ ჩიბურდანიძე _____

აბსტრაქტი

კვლევის თემას წარმოადგენს „საპენსიო სისტემების მსოფლიო მოდელები და საქართველოს საპენსიო რეფორმის წინაშე არსებული გამოწვევები“. შესაბამისად, კვლევის ობიექტად შერჩეულ იქნა საქართველო, ასევე ნაშრომში განხილულია საპენსიო სისტემების სხვადასხვა მოდელები.

სტრუქტურულად ნაშრომი შედგება რამდენიმე ძირითადი თავისგან, ესენია: შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, მეთოდოლოგია და კვლევის დიზაინი, ძირითადი ნაწილი, კვლევის ანალიზი, აგრეთვე: დასკვნა, რეკომენდაციები, ბიბლიოგრაფია და დანართები. კვლევა ჩატარდა თეორიულ და პრაქტიკულ მონაცემებზე დაყრდნობით.

ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს საქართველოს საპენსიო რეფორმის წინაშე არსებული გამოწვევები, დავადგინოთ რა გავლენას მოახდენს საპენსიო რეფორმა საქართველოს ეკონომიკაზე, ბიზნესზე და მოსახლეობაზე.

ნაშრომი დაეხმარება საპენსიო რეფორმით დაინტერესებულ მხარეებს შეაფასონ და განიხილონ მსოფლიო საპენსიო სისტემები და ასევე, უკეთ შეაფასონ საქართველოში მიმდინარე პროცესები. მიიღონ დამატებითი ინფორმაცია საქართველოში არსებულ რეფორმაზე. ჩვენ გვჯერა, რომ კვლევის შედეგებითა და რეკომენდაციებით დავეხმარებით დაინტერესებულ პირებს, უკეთ იყვნენ ინფორმირებულები დაგროვებითი საპენსიო სისტემის შესახებ, იცოდნენ სად აკუმულირდება მათი დანაზოგები, რამდენად დაცულია მათი აქტივები და რა მოლოდინები უნდა ჰქონდეთ პენსიაზე გასვლის შემდგომ.

Abstract

The subject of the study is “Global Pension Systems and Challenges of Georgian Pension Reform”. Thus, the subject of the study is Georgia, however, thesis also discusses different types of pension systems as well.

The structure of the study is as following: preface, review of the literature methodology and study structure, study analysis, conclusion, recommendations, bibliography and annexes. The study was conducted based on the theoretical and practical data.

The aim of the study is depiction of the challenges of the Georgian pension reform, identification of the effect of pension reform on Georgian economic, business and citizens.

The present study will help the interested parties to review and discuss global pension systems, as well as better evaluate on-going processes in Georgia, gain additional information concerning the existing reform in the country. We believe that the results of the study and recommendations will help the interested parties to be better informed on accumulative pension system, be more aware on where their savings are being accumulated, how well-protected are their assets and what should they expect after retirement.

მადლობა

დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, დავით გამყრელიძეს გაწეული შრომისა და სასარგებლო რეკომენდაციებისთვის, ის საკუთარი კრიტიკული მოსაზრებებით და რჩევებით მნიშვნელოვნად დაგვეხმარა. ასევე გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით მათ, ვინც კვლევაში მიიღო მონაწილეობა.